ანი ბეზანტი

ეზოტერული ქრისტიანობა

თუ მცირე მისტერიები

ქართული თარგმანი ეკუთვნის
გია ბერაძეს

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი, 2023

ადრეულ ქრისტიანობას, ისევე, როგორც სხვა დიდ რელიგიებს, ჰქონდა საიდუმლოებები, რომელთაც მისი მიმდევრები ისე ინახავდნენ, როგორც ფასდაუდებელ საგანძურს. ქრისტეშობიდან პირველ საუკუნეებში უმაღლესმა საეკლესიო იერარქიამ ამ ჭეშმარიტებათა დამალვა დაიწყო რიგითი მორწმუნეებისაგან და მათ შესახებ მხოლოდ მცირეოდენმა განდობილმა იცოდა.

ავტორი მიიჩნევს, რომ მხოლოდ რელიგიური ჭეშმარიტებების დონის ამაღლებით შეიძლება გზის გახსნა საიდუმლოების ცოდნის აღდგენისაკენ და მცირე მისტერიების სწავლებისაკენ, რომლებიც წინ უნდა უსწრებდეს დიადი მისტერიების სწავლებას.

ნაშრომის მიზანია, მოკლედ აგიხსნათ მცირე მისტერიები, ანუ ნაწილობრივი გახსნა ღრმა ჭეშმარიტებებისა და გაჩვენოთ ამ იდუმალი მოძღვრების ბუნება.

წიგნის მიზანია, გაამჟღავნოს აღნიშნული მცირე მისტერიები და გააცნოს ადამიანებს ქრისტიანობის მისტიკური მხარეები – არა გარე ქრისტეს საშუალებით ხსნა, არამედ შინაგანი ქრისტეს სრულყოფილებამდე მიყვანა – აი, რა იყო ეზოტერული ქრისტიანობის, მცირე მისტერიების მოძღვრება.

მთარგმნელი: გია ბერაძე
რედაქტორი: დავით ცომაია
კორექტორი: ლიზი ქოპილაშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2023
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-5418-7

სარჩევი

წინასიტყვაობა.....5

თავი I. რელიგიის იდუმალი მხარე.....8
თავი II. ქრისტიანობის იდუმალი მხარე.....32
(ა) ბიბლიის დამოწმება.....32
თავი III. ქრისტიანობის იდუმალი მხარე.....53
(ბ) ეკლესიის დამოწმება.....53
თავი IV. ისტორიული ქრისტე.....86
ისტორიული ქრისტე, იესო მკურნალი და მასწავლებელი....86
თავი V. მითური ქრისტე.....103
თავი VI. მისტიკური ქრისტე.....121
თავი VII. მონანიება.....136
თავი VIII. აღდგომა და ცად ამაღლება.....161
თავი IX. წმინდა სამება.....175
თავი X. ლოცვა.....190
თავი XI. ცოდვების მიტევება.....204
თავი XII. წმინდა საიდუმლოებები.....219
თავი XIII. საიდუმლოებები (გაგრძელება).....233
თავი XIV. გამოცხადება.....248
ბოლოსიტყვაობა.....259

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები.....261

ვაგრძელებთ შემეცნების მისტერიის განხილვას და კვლავაც ვრჩებით ერთგული ტრადიციის ღირსეული და პატივსაცემი წესისა. ვიწყებთ სამყაროს წარმოშობით, ვადგენთ ფიზიკური კვლევის იმ ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც აუცილებელია, როგორც წანამძღვრები, და გვერდზე გადავდებთ ყველაფერს, რაც შეიძლება დაბრკოლება აღმოჩნდეს ჩვენს გზაზე. იმისათვის, რომ ყური მოემზადოს გნოზისის აღქმისათვის, ნიადაგი განთავისუფლდეს სარეველა ბალახისაგან და ვარგისი გახდეს ვენახის ჩაყრისათვის, რამეთუ კონფლიქტები წინამორბედი არის კონფლიქტებისა და მისტერიები წინამორბეი არის მისტერიებისა.

წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელი

დაე, ეს ნიმუში იყოს საკმარისი მათთვის, ვისაც ყურები აქვთ, რამეთუ არ მოითხოვება მისტერიის გაშიფვრა, არამედ მხოლოდ მინიშნება იმაზე, რაც საკმარისია.

წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელი

ვისაც ყური აქვს სმენად, ისმინოს!

წმინდა მატვეი

წინასიტყვაობა

ამ წიგნის მიზანია, მკითხველს შესთავაზოს ღრმა ჭეშმარიტებების შესახებ გარკვეული მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს ქრისტიანობას. ის ჭეშმარიტებები, ჩვეულებრივ, მხედველობიდან რომ რჩებათ ან ძალიან ხშირად საერთოდ უგულებელყოფენ. გულუხვობით ნასაზრდოებმა სურვილმა, ყველასთვის გაეზიარებინათ ის, რაც ძვირფასი და ფასდაუდებელი იყო, არავისთვის აღეკვეთათ ჭეშმარიტი შემეცნების ნათელი, ქრისტიანობა ვულგარული გახადა; ისეთი ფორმა მიიღო, რომელიც გულსაც აღაშფოთებს და გონებისთვისაც მიუღებელია. მცნება – „უქადაგეთ სახარება ყველა ქმნილებას“, რომელიც, ძნელად რომ, ჭეშმარიტ მცნებად მივიჩნიოთ, გაგებულ იქნა, როგორც აკრძალვა იმისა, რომ გადაეცათ გნოზისი მცირეთათვის და აშკარაა, რომ გადაფარა იმავე დიდი მასწავლებლის ნაკლებად გავრცელებული სიტყვები: „ნუ მისცემთ სიწმინდეს ძაღლებს: ნურც თქვენს მარგალიტს დაუყრით ღორებს[1]“.

ეს არაგონივრული სენტიმენტალობა უარს ამბობს აღიაროს ადამიანებს შორის აშკარა ინტელექტუალური და მორალური უთანასწორობა და, ამდენად, ისწრაფვის, ნაკლებად განვითარებული ადამიანების დონეზე დაიყვანოს ცოდნა, რომელიც მხოლოდ მაღალგანვითარებული გონებისათვის არის მისაწვდომი, მსხვერპლად იღებს ყველაზე მაღალს ყველაზე მდაბლისათვის ორივე მხარის საზიანოდ – ასეთი სენტიმენტალობა უცხო იყო ვაჟკაცური და ჟანსაღად მოაზროვნე ადრეული ქრისტიანებისათვის.

წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელი სრულიად გარკვევით ამბობს: „ახლაც კი, როგორც უკვე ითქვა, არ არის საჭირო მა-

1. მათე 7:6.

რგალიტი ღორებს დაუყაროთ, რამეთუ ისინი ფეხებით გადა-ქელავენ მას და თქვენ მოგდგებიან და დაგგლეჯენ, რადგან ძალიან ძნელია, ღორისა და მოუმზადებელი ყურებისთვის გასა-გებად წარმოთქვა სუფთა და გამჭვირვალე სიტყვები, ჭეშმარიტ ნათელს რომ ეხება[2]".

ჭეშმარიტი ცოდნა, გნოზისი, კვლავაც რომ ქრისტიანული მო-ძღვრების ნაწილი გახდეს, ასეთი აღორძინება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ადრინდელი შეზღუდვების პირობით, მხოლოდ მაშინ, თუ თვით აზრი რელიგიური სწავლების დაყვანისა ყვე-ლაზე დაბალგანვითარებულთა დონეზე ცალსახად და სამუდა-მოდ იქნება მიტოვებული. მხოლოდ რელიგიური ჭეშმარიტებების დონის ამაღლებით შეიძლება გზის გახსნა იდუმალი ცოდნის აღ-დგენისაკენ და მცირე მისტერიების სწავლებისაკენ, რომლებიც წინ უნდა უსწრებდეს დიადი მისტერიების სწავლებას. ეს უკანა-სკნელნი არასდროს არ დაიბეჭდება პრესაში, ისინი მოსწავლეს მასწავლებლის მიერ შეიძლება გადაეცეს მხოლოდ „პირისპირ"; მაგრამ მცირე მისტერიები, ანუ ნაწილობრივი გახსნა ღრმა ჭეშ-მარიტებებისა, შეიძლება აღდგეს ჩვენს დროში. შემოთავაზე-ბული ნაშრომის მიზანია მოკლედ აგიხსნათ ეს მისტერიები და გაჩვენოთ იმ იდუმალი მოძღვრების ბუნება, რომელსაც უნდა დავეუფლოთ. იქ, სადაც არის მინიშნებები, კონცენტრირებულ მედიტაციას (მინიშნებულ ჭეშმარიტებაზე), შეუძლია ოდნავ შე-სამჩნევი მონახაზები მკვეთრად ხილვადი გახადოს და, განა-გრძობს რა მედიტაციას, უფრო და უფრო მეტად ჩაღრმავდეს ამ ჭეშმარიტებების წვდომაში. მედიტაციას მივყავართ დაბალი გო-ნების დამშვიდებისაკენ, მუდამ გარე საგნებით რომ არის დაკა-ვებული, და როცა ის ჩაწყნარდება, მხოლოდ მაშინ არის შესაძ-ლებელი მისი სულით გასხივოსნება. სულიერ ჭეშმარიტებათა შეძენა შეიძლება მხოლოდ შიგნიდან და არა გარედან, არა გარე მასწავლებლისაგან, არამედ მხოლოდ ღვთაებრივი სულისაგან, ტაძარი რომ აქვს აგებული თქვენს შიგნით[3]. ეს ჭეშმარიტებები

2. Clement of Alexandria. Stromata, წიგნი I, თავი XII.

3. I კორინთელთა მიმართ 3:16.

თავი I
რელიგიის იდუმალი მხარე

ბევრი, და იქნებ უმრავლესობაც, ვინც ამ წიგნის სათაურს წაიკითხავს, უარყოფითად განეწყობა მის მიმართ და სადავოს გახდის იმ მოძღვრების არსებობას, რომელიც „იდუმალი ქრისტიანობის“ სახელდებას იმსახურებს. ფართოდ არის გავრცელებული პოპულარული შეხედულება, რომ არ არსებობს ისეთი რამ, როგორიც არის ოკულტური მოძღვრება ქრისტიანობასთან დაკავშირებით და რომ „მისტერიები“, როგორც მცირენი, ისე უდიდესნი, წმინდად წარმართული დაწესებულებები იყო. თვით დასახელება „იესოს მისტერიები“, რომელიც ასე ძვირფასი იყო პირველი საუკუნეების ქრისტიანობისათვის, გაოცების გარდა, არაფერს გამოიწვევდა თანამედროვე ქრისტიანებს შორის. თუ ვილაპარაკებთ „მისტერიებზე“, როგორც ძველი ეკლესიის გარკვეულ დაწესებულებებზე, ეს უნდობლობის ღიმილს უფრო გამოიწვევს. უფრო მეტიც, ქრისტიანები ამაყობენ იმით, რომ მათ რელიგიაში არ არის არავითარი საიდუმლოება, რომ ყველაფერს, რაც ქრისტიანობას სათქმელი აქვს, ყველას ეუბნება და ყველაფერი, რაც მას სურს, რომ ასწავლოს, განკუთვნილია ყველასთვის, გამონაკლისის გარეშე. მისი ჭეშმარიტებები ისე მარტივადაა მიჩნეული, რომ ყველაზე ჩვეულებრივ ადამიანს, და თვით ჭკუასუსტსაც კი, არ დააბნევს. სახარების „უბრალოება“ ხომ მოარულ ფრაზად იქცა?!

აქედან გამომდინარე, აუცილებელია იმის ნათლად დამტკიცება, რომ ქრისტიანობა თავისი განვითარების ადრეულ პერიოდში ოდნავაც არ ჩამორჩებოდა სხვა დიად რელიგიებს იდუმალი ცოდნის ფლობის თვალსაზრისით და მას ისე იცავდა, როგორც ფასდაუდებელ საგანძურს – საიდუმლოებებს, რომ-

– ადამიანური სულის ღვთაებრივთან შეერთებისაკენ, „რათა ღმერთი ყველაფერი იყოს ყოველში[7]“.

შემდეგი საკითხი, რომელიც წამოიჭრება ჩვენი კვლევების გზაზე, ეს არის ის, თუ სად ვეძიოთ რელიგიის წყარო? ამ შეკითხვაზე ჩვენს დროში ორი პასუხი არსებობს. ერთი, რომელსაც შედარებითი მითოლოგია გვაძლევს, და მეორე – რელიგიის შედარებითი შესწავლით მიღებული. ორივე მათგანი თავის პასუხს აღიარებული ფაქტების საერთო საფუძველზე ამყარებს. კვლევებმა ცალსახად დაამტკიცა, რომ ყველა მსოფლიო რელიგია მსგავსია მათ მთავარ მოძღვრებაში და იმაში, რომ ყოველ მათგანს ჰყავდა დამფუძნებელი, ზეადამიანურ ძალას რომ ფლობდა და უმაღლეს ზნეობრივ სიმაღლეზე იმყოფებოდა, ისინი მსგავსნი იყვნენ თავიანთი ეთიკური მცნებებით და საშუალებებით, რომლებითაც აღწევდნენ შეხებას უხილავ სამყაროსა და სიმბოლოებს, რომელთა საშუალებით გამოხატავდნენ თავიანთ უმთავრეს რწმენას. ეს მსგავსება, რომელიც ხშირად იგივეობამდე დადის, ამტკიცებს, როგორც ერთი, ისე მეორე სკოლის დასკვნებით, რომ რელიგიებს საერთო დასაბამი აქვთ.

მაგრამ ამ საერთო წარმოშობის ბუნებასთან დაკავშირებით ამ ორი სკოლის თვალსაზრისი ერთმანეთისგან განსხვავდება. შედარებითი მითოლოგიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ საერთო წარმოშობა საერთო უმეცრებაა და რომ ყველაზე ამაღლებული რელიგიური დოქტრინები სხვა არაფერია, თუ არა დახვეწილი გამოხატვა ველურების, პრიმიტიული ადამიანების წარმოდგენებისა საკუთარი თავისა და გარემოს შესახებ. ანიმიზმი[8], ფეტიშიზმი, ბუნების თაყვანისცემა, მზის თაყვანისცემა – აი, შემადგენელი ნაწილები იმ პირველყოფილი ტალახისა, რომლისგანაც ამოიზარდა რელიგიის შესანიშნავი შროშანები – კრიშნა, ბუდა, ლაო-ძი, იესო – ისინი არიან თუმცა კი მაღალცივილიზებული, მაგრამ პირდაპირი შთამომავლები ველური

7. ესაია 15:28.

8. ანიმიზმი – ზოგადად სულისა და სულიერების არსებობის რწმენა, ასევე უსულო საგნებისა და ბუნებრივი მოვლენებისათვის სულის არსებობის დაშვება – მთარგ. შენიშვნა.

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
3. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
9. ს. კირკეგორი – ან/ან: ნაწყვეტი ცხოვრებიდან (ნაწილი პირველი)

10. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და Id
11. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
12. ზიგმუნდ ფროიდი – ფსიქოანალიზის შესავალი
13. ზიგმუნდ ფროიდი – უკმაყოფილება კულტურით
14. ზ. ფროიდი – ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია
15. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
16. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან

17. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
18. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
19. ბერტრან რასელი – ესეები
20. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული
22. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
23. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
24. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები

25. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
26. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

27. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
28. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
29. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
30. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
31. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
32. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

33. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
34. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
35. მერაბ მამარდაშვილი – ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
36. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

37. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
38. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

39. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
40. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
41. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
42. ჯიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

43. ოშო – ცნობიერების მზე
44. ოშო – საწყისთა საწყისი
45. ოშო – სიყვარულის ძალა
46. ოშო – რა არის მედიტაცია?
47. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

48. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
49. დ. ჰ. ლოურენსი – ფანტაზია არაცნობიერის თემაზე
50. დ. ჰ. ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

51. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
52. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

53. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ
54. ჯ. ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ

55. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
56. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
57. გიორგი გურჯიევი – შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან
58. გ. გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
59. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის (წიგნი I-IV)

60. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა
61. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
62. ნონა ხიდეშელი – Carpe diem

63. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
64. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
65. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

66. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
67. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
68. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება

69. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
70. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი
71. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე
72. არმინ ნავაბი – რატომ არ არსებობს არავითარი ღმერთი

73. ანი ბეზანტი – თეოსოფია
74. ანი ბეზანტი – ეზოტერული ქრისტიანობა თუ მცირე მისტერიები